CYR 140169033

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 01-17

ქ. თბილისი " 10 " " ნოემბერი", 2014 წ.

ერთის მხრივ სსიპ „იუსტიციის სახლი" (შემდგომში _ „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ფინანსური ოპერაციების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის კახაბერ თეთრუაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ორიენტ ლოჯიკი"** წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ალან სანაკოევის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, ასევე ყველა იმ დოკუმენტით რომლებზედაც წინამდებარე ხელშეკრულებაში არის მინიშნება.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „იუსტიციის სახლის"-თვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, **უსადენო ინტერნეტის მოდემის შესყიდვა (CPV 32420000).**

2.2 **შესყიდვის ობიექტია** უსადენო ინტერნეტის მოდემი (ZoneFlex 901 – 7352 – WW00). რაოდენობა - 1 ერთეული.

3. ხელშეკრულების ღირებულება, საქონლის ერთეულის და საერთო ფასი

3.1. ხელშეკრულების ღირებულება **დღგ-ს გათვალისწინებით შეადგენს 850 (რვაას ორმოცდაათი) ლარს.**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღეში.

4.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, სანაპიროს ქ№2 (ქ. თბილისის იუსტიციის სახლი).**

5.მხარეთა ვალდებულებები

5.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

5.1.1. გადასცეს შემსყიდველს ხარისხისიანი, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

5.1.2. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ჩატარებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

5.1.3. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

5.1.4. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

5.2.1. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უზრუნველყოს ფაქტობრივად მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება;

5.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6.ინსპექტირების პირობები

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის და რაოდენობის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

6.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ **სსიპ „იუსტიციის სახლი"-ს სამეურნეო და მატერიალურ ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური და მომსახურების პროცედურების განვითარების სამსახური.**

7.შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება შესყიდვის ობიექტის მოწოდების შემდეგ, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

8.ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

8.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

8.1.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2.ფაქტობრივად მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე, დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 კალენდარული დღის ვადაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. გარანტია

9.1. შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.

9.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიმართვის შემდეგ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში, მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა ან წუნდებული საქონლის შეცვლა ახლით

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულების შეწტყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცდენისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ცვლილება დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმებით, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა

12.1ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი).

12.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მეორე მხარისაგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით.

12.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულება დადებულია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით.

13.3 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო საგარანტიო მომსახურების ნაწილში 9.1 პუნქტის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია **სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი–შემსყიდველს.**

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
სსიპ „იუსტიციის სახლი“	შპს „ორიენტ ლოჯიკი“
ს.კ. 204580202	ს.კ. 202 052 054
მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს ქN2	მის: ქ.თბილისი, აღმაშენებლის 91ა
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>	საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები - ერთიანი ანგარიში	ს.ს. „ბაზის ბანკი“
მიმღების ბანკის კოდი - TRESGE22	ბანკის კოდი CBASGE22
ანგარიში # GE24NB0330100200165022	ა/ა GE96 BS00 0000 0005 9368 72
----------	----------
კანაბერ თეთრუაშვილი	ალან სანაკოევი
ფინანსური ოპერაციების დირექტორის მ/შ	კომერციული დირექტორი